№284 2013 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) და საქართველოს (წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროთი) შორის „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის“ პროექტის დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულების დადების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომ „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის“ პროექტის დაფინანსების მიზნით დადოს დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულება (2 მილიონი ევრო) საქართველოს სახელით გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) და საქართველოს (წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროთი) შორის.

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ირაკლი ღარიბაშვილი